პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 აგვისტო სამშაბათი 1971 წელი 2 ქაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 187 (15097)

ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში

ინიციატორის მხარდამჭერ ქარხანა

□ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს □ ქიმიკოსები დროს უსწრებენ □ მრთველი რვა დაზგასთან □ მოწინავეთა რიგები იზრდება

რუსთავი. ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ბიუროს, მეორეგვარი ... ინიციატორ ... ინიციატორ ... ...

პარტიულ ორგანიზაციებში

ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები

ფოთი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები გულდასმით სწავლობენ სკკპ XXIV ყრილობის მასალებს. საწარმოებსა და მშენებლობებზე საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტმა და საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციამ გამართეს ლექციების ციკლი.

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივნებმა ნ. ლაკიამ, გრ. არჩაიამ, ვ. ჯუნიამ, საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ს. გვასალიამ და ნავსადგურის მთავარმა ინჟინერმა გ. ნიკურაძემ ლექციები წაიკითხეს თემებზე — სკკპ XXIV ყრილობის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, სკკპ XXIV ყრილობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შესახებ; მრეწველობის მართვის ახალი სისტემა; სკკპ XXIV ყრილობა სკკპ რიგების ზრდისა და შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების შესახებ; ეკონომიკის მართვის სისტემის სრულყოფა ახალ ხუთწლედში.

ყრილობის მასალების ირგვლივ მოეწყო აგრეთვე კითხვა-პასუხის საღამოები.

მეთოდური კონფერენცია

ზუგდიდი. (საკ. კორ.). საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა და პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარეს პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა მესამე საქალაქო მეთოდური კონფერენცია თემაზე: „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში“.

მოხსენება — „პოლიტინფორმატორები და აგიტატორები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში“ — გააკეთა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ტ. მოლაშხიამ. „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები და ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის ამოცანები“ — ასეთი იყო პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის კონსულტანტის ვ. ჟურცხალიას მოხსენება. გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორმა ი. ქორთუამ გააკეთა მოხსენება თემაზე: — პრესის როლი და ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

კონფერენციაზე ინფორმაციებით გამოვიდნენ ენგურჰესის მშენებლობისა და ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის პარტიული კომიტეტების მდივნების მოადგილეები ი. თოლორაია და ი. გეჯაია, საქართველოს ალკა ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ხ. თორდია, აგიტატორები —, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბაკელია და ბ. უდრელიძე, პურკომბინატის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ნ. საბლუა.

კონფერენციის მონაწილეთათვის ლექცია „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“ წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ციცაშვილმა.

ეკონომიური მუშაობის საბჭუ

ჭიათურა. (საკ. კორ.). პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ აქ განსაკუთრებული ყურადღება ეძლევა კადრების ეკონომიურ სწავლებას, მეურნეობის გონივრულად გაძღოლის მეთოდების სრულყოფას.

ამას წინათ საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით საქალაქო კომიტეტთან შეიქმნა ეკონომიური მუშაობის საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან გამოცდილი ინჟინრები, ეკონომისტები, ფინანსისტები, ბუღალტრები, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სპეციალისტები.

ეკონომიური მუშაობის საბჭოს მიზანია ორმა ანალიზი გაუკეთოს წარმოების, მშენებლობის, კოლმეურნეობების მუშაობას, შეისწავლოს და განაზოგადოს მუშაობის მოწინავე მეთოდები, ამხილოს ჩრდილოვანი მხარეები და საქმეში სპეციალისტების ჩარევით გამოასწოროს ნაკლოვანებანი.

ეკონომიური მუშაობის საბჭო ახლო ხანში შეისწავლის და განაზოგადებს ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის ახალი ითხვისის მაღაროსა და ქვაციხის კოლმეურნეობის გამოცდილებას.

ზეპირი ჟურნალის ახალი ნომერი

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ გურიანთის კოლმეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა პოლიტიკური განათლების კაბინეტთან ერთად ამ დღეებში მოაწყო ზეპირი ჟურნალი. საკოლმეურნეო კლუბში შეგრებილთ ზეპირი ჟურნალის შესახებ ესაუბრა პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე ნ. დოლიძე.

თემაზე — „სკკპ XXIV ყრილობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის შესახებ და გურიანთის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ ისაუბრა პარტიული კომიტეტის მდივანმა ალ. მუჯირმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჰ. ბელიქანიძემ მსმენელებს მოუთხრო კოლმეურნეობის წევრთა შრომაზე ახალი ხუთწლედის პირველ წელს.

საუბრებით გამოვიდნენ აგრეთვე სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე უ. მალაზონია და კოლმეურნეობის აგრონომი დ. ჟღენტი.

თემატური საღამო საკოვრებზე

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.) ბორითელ კოლმეურნეებს პირუტყვი კოზმანის საზაფხულო საძოვრებზე ჰყავთ. ბორითის სასოფლო კლუბისა და ბიბლიოთეკის თაოსნობით საზაფხულო საძოვრებზე — მწყემსებთან მოეწყო თემატური საღამო.

მეცხოველეებმა უყურადღებით მოისმინეს საუბრები: „პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის“, „მეცხოველეობის პირველადების გაიაფების რეზერვები“, „მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის გზები“. საუბრები ჩაატარეს ბ. ციტაიშვილმა, ვ. ბერიძემ, ფ. ყურტანიძემ, სასოფლო კლუბისა და ბიბლიოთეკის გამგეებმა შ. შუსბიშვილმა და ვ. ტაბატაძემ.

აქვე ბორითის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი გამართეს.

ასე ეხმარებიან ძირეულ პრესას

აბაშა. პარტიის აბაშის რაიკომმა ამ დღეებში მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და აქტივის გაზეთის, რედაქტორთა თათბირ-სემინარი. მოსმენილ იქნა მოხსენებები: რაიონულ გაზეთ „განახლებული აბაშის“ რედაქტორის ა. ქობალავასი „სკკპ XXIV ყრილობა და ძირეული პრესის ამოცანები“ და საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის გ. ნადარეიშვილისა „ძირეული პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და კედლის გაზეთის დაგეგმვისა და გაფორმების შესახებ“.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება კედლის გაზეთების გამოშვების ვადების, წერილების ორგანიზაციის, ტექნიკური გაფორმების და სხვა საინტერესო საკითხებზე.

პ. ჩაგანავა.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲚᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ

ქალაქი კაზრეთის მთებში

ᲒᲝᲚᲜᲘᲡ-ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘᲡ გზაზე ხელმარცხნივ რომ გადაუხვევთ, მდინარე კაზრეთს ნიდიან გადაჭრით, თანამედროვე სტილით აშენებულ დასახლებაში მოხვდებით. ეს მომავალი ასიათასიანი ქალაქის — მადნეულის კონტურებია. უკვე აღუმართავთ ოთხ, ხუთ და ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული ნაგებობები, შენობები სკოლებისათვის, საბავშვო ბაღებისა და ბაგებისათვის.

აქ მოსული კაცი უთუოდ შეჩერდება ადმინისტრაციული შენობის წინ და თვალს შეავლებს მის წინ გამოფენილ მაკეტს, რომელიც გვამცნობს, თუ როგორი იქნება მომავალში სპილენძგამამდიდრებელი კომბინატი: აქ ვნახე კომბინატის დირექტორი, დამსახურებული სამთო ინჟინერი ფილიპე ნაჭყებია. უკვე 30 წელია ვიცნობ მას. პირველი საგაზეთო წერილი დამწყებმა ჟურნალისტმა სწორედ მასზე დავწერე, როცა იგი ტყიბელი ერთ-ერთ შახტში უბნის უფროსად მუშაობდა. მას შემდეგ მან შრომის სახელოვანი გზა განვლო.

ფილიპე ნაჭყებიამ დაწერილებით გაგვაცნო კომბინატის მომავალი, ისიც გვითხრა, რომ იგი სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით მიმდინარე ხუთწლედში ასამუშავებელ ობიექტთა სიაშია შეტანილი.

ქართული ფერადი მეტალურგიის კერა უახლოეს მომავალში ჩადგება მწყობრში. მის მშენებლობაზე ათობით მილიონი მანეთია გამოყოფილი. ჯერ კი აქ ამ თანხის მხოლოდ ნახევარია ათვისებული. მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა, რომელიც ერთ-ერთი უნიკალურია ჩვენს რესპუბლიკაში, 1959 წელს დაიწყო. მისი პირველი რიგი ამოქმედდება 1963 წლისათვის, ხოლო მეორე — 1975 წლისათვის.

— უდიდეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, — გვეუბნება კომბინატის დირექტორი, — რომ 1967 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა მარნეული—მადნეულის რკინიგზა. ახლა აქ რეგულარულად მოძრაობენ მატარებლები, რომლებსაც მადნეულისაკენ ყოველდღიურად მიაქვთ რკინა-ბეტონის კონსტრუქციები. ხე-ტყე, წყალსადენის მილები, დანადგარ-მოწყობილობა, და თვით მადნეულიდანაც დიდძალი ტვირთი გადაადგა. აქედან ბარიტით დატვირთული ეშელონები მიემართებიან შუა აზიისაკენ, ციმბირისაკენ, ავლანეთისაკენ...

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქალაქი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, ახლა კი კორპუსებით დამშენებულია. სამშენებლებმა 10 მილიონი კუბური მეტრი მიწა გადაყარეს მდინარე კაზრეთში და აქ მიწისქვეშა კომუნიკაციები გაანენეს. უზარმაზარ ტერტორიაზე საძირკველი ჩაეყარა სპილენძგამამდიდრებელ კომბინატს. მშენებლებმა უკვე ჩაასხეს 60 ათასი კუბური მეტრი ბეტონი.

კომბინატის მშენებლობისათვის შექმნილია მძლავრი სამშენებლო ბაზა, მუშაობს ახალი ტექნიკა, მშენებლობას აწარმოებს „საქშახტმშენის“ ტრესტის მადნეულის სამმართველო, აგრეთვე თვით კომბინატის დირექცია. უკანასნელი ხუთი წლის მანძილზე მოიჯარადრეების მიერ შესრულდა ხუთასხეკვარი მილიონი მანეთის სამუშაოები, კომბინატის ძალებით კი უფრო მეტი — 8 მილიონი მანეთისა.

...კომბინატის დირექტორის კაბინეტში გაჩვენეს რამდენიმე სახის სპილენძის ფხვნილს. იმასაც გეტყვიან, რომ ახლო მომავალში მადნეულში სწორედ ამ სახის პროდუქციას გამოუშვებენ. ეს ფხვნილი აქაურია, სპეციალისტების მიერ დამზადებული. კომბინატის კოლექტივი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტთან და ლენინგრადის ინსტიტუტ „გიპრონიკელთან“ ერთად კარგა ხანია აწარმოებს სპილენძის ფხვნილის მისაღებად. პრაქტიკოსთა და მეცნიერთა შემოქმედებითმა შრომამ შედეგი გამოიღო. საცდელ წარმოებაში ლაბორატორიული წესით მიიღეს პროდუქცია, ეგრეთ წოდებული სპილენძის ფხვნილი, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტს.

— დადებითად გადავწყვეტეთ სპილენძის ფხვნილის მიღების რთული პრობლემა, — ამბობს ფ. ნაჭყებია, — ახლა საჭიროა მთელი სიგრძე-სიგანით დაისვას საკითხი, რომ მადნეულში ვაწარმოოთ არა მარტო მოპოვებული სპილენძის კონცენტრატული გამდიდრება, არამედ აქვე ამენდეს მეტალურგიული ქარხნები, რომლებიც სპილენძის კონცენტრატიდან სპილენძს ადგილზეკე მიიღებენ. ცხადია, ამის შემდეგ რესპუბლიკამი შეიქმნება ფერადი მეტალურგიის მძლავრი ბაზა.

ფერადი მეტალურგიის გვერდით განვითარდება ქიმიური მრეწველობა. მადნეულის წაღისეული სიმდიდრე ამის გარანტიას იძლევა.

ვესტუმრეთ კარიერებს. აქ არის წაღისეული სიმდიდრე. მის მომპოვებლებს ერთი დიდი უპირატესობა აქვთ. წაღისეული მიწაში ღრმად როდია. მაშასადამე, საჭირო არ არის სპეციალური მაღაროებისა და ბვრარბების გაყვანა. ამიტომ არის, რომ სპეციალისტები მადნეულს უნიკალურ საბადოს უწოდებენ.

რა სახის ტექნიკას არ ნახავთ აქ. გამართულად მუშაობენ ასალი ტიპის უმძლავრესი ექსკავატორები, ბულდოზერები, მძიმეწონიანი სატვირთო მანქანები...

და მაინც ყურადღებას აქ მომუშავე სპეციალისტები იპყრობენ. მთებთან დამშობილებულ ადამიანებს სახეზე სიმხნევე და სიჯანსაღე ატყვიათ.

— ვის დასახელებდით მოწინავეთა შორის? — ვკითხეთ ბიბინატის დირექტორს.

— მოწინავეები აქ რა გამოვლენ, გვეუბნება იგი და გვაცნობს შრომაში გართულ სამთო ხუნძლის უფროსს ი. გოგიტიძეს, მეექსკავატორეებს მ. კაპანაძესა და ბ. ნაუმენკოს, მბურღავ ამფეთქებელს გ. ასათიანს, მემანქანეს გ. სმელიანსკის, ბრიგადირებს ი. ათაბეგოვს, ნ. დემირჩიევს.

უკვე იწერება ფერადი მეტალურგიის ცენტრის — მადნეულის ისტორია, რომელშიც ამ ადამიანების სახელები ოქროს ასოებით შეკვა.

მადნეულში რომ კაცი მივა, არ შეიძლება ერთი საინტერესო სიახლეც არ გააცნონ. ეს არის ავტოკლავის საამქრო, რომელშიც მადნეულელმა სპეციალისტებმა მეცნიერ მუშაკებთან ერთად მიიღეს სპილენძის ხსნარი, ანუ სპილენძის ფხვნილის წინა ნედლეული. ეს არა მარტო მადნეულის მასშტაბით არის მნიშვნელოვანი, არამედ გაბედული სიტყვაა ფერად მეტალურგიაში. ახლა ავტოკლავის საამქროში გრძელდება მუშაობა პროდუქციის სრულყოფისათვის.

ხუთწლედის ამ დღეებში მადნეულში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. მალე დადგება დრო, როცა ჩვენს რესპუბლიკას კიდევ ერთი მძლავრი ინდუსტრიული ქალაქი შეემატება. ეს იქნება საქართველოს ფერადი მეტალურგიის ცენტრი — მადნეული.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თბილისის საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ კოლექტივი წარმატებით მუშაობს.

საწარმოში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ყველა საამქრო და უბანი გადავიდეს პროდუქციის უდეფექტოდ ჩაბარების სარატოველთა მეთოდზე. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საბჭოს ინჟინერ გ. ძნელაძეს.

სურათზე: ინჟინერი გ. ძნელაძე.
ფოტო რ. კაპარავასი.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ბევრმა მუშამ ისახელა თავი შრომაში. მათ შორის არის ხაქსოვი საამქროს საწარმოო სწავლების ინსტრუქტორი ნ. ხარიტონაშვილი, იგი კომბინატში დაარსების დღიდან მუშაობს, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებულ.

სურათზე: ნ. ხარიტონაშვილი.
ფოტო დ. სალარიშვილისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

სიუხვის დიდი ფაქტორი

ᲥᲘᲛᲘᲖᲐᲪᲘᲐ — ᲛᲝᲡᲐᲥᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲓᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ — ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ

მეცხრე ხუთწლედში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა შემდგომი ზრუნვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, იმისათვის, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მზარდი მოთხოვნილებანი მოსახლეობისა კვების პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულზე.

ამ ამოცანის განსახორციელებლად, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში, დიდი როლი ენიჭება სასუქების გამოყენებას. პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: „ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲜᲔᲜᲓᲠᲝᲗ ᲮᲘ-ᲐᲚᲐᲯᲕᲠ-ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲩᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“.

ამ ამოცანის განსახორციელებლად, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში, დიდი როლი ენიჭება სასუქების გამოყენებას. პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: „ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲜᲔᲜᲓᲠᲝᲗ ᲮᲘ-ᲐᲚᲐᲯᲕᲠ-ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲩᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“.

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ Დ. ნ. ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲖᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲗ, რომ სასუქები უნდა ინახებოდეს ისე, როგორც ვინახავთ მარცვლეულს. რადგან ყოველი ცენტნერი სასუქი 3-5 ცენტნერი მარცვლეულს უდრის. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲘᲡ ᲑᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲛᲘᲗᲘᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ.

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲘᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲒᲛ Ბ. ᲛᲝᲚᲐᲨᲮᲘᲐᲛ. „ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲡᲗᲕᲘᲡ“.

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲚᲘ — „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ“ — ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲜᲢᲘ Გ. ᲙᲣᲠᲪᲮᲐᲚᲘᲐᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲚᲐ. ᲒᲐᲖᲗᲘᲗ „ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲛᲐ Ი. ᲥᲝᲠᲗᲣᲐᲛ ᲒᲐᲐᲙᲘᲗᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ: — ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲒᲛᲘ Გ. ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲫᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲣᲖᲘᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ — ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ

სანქმ სკოლის ზარი დაირეკებოდეს

მშენებლობის ᲔᲣᲥ-ᲩᲠᲓᲘᲚᲘ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რაიონში სასკოლო მშენებლობა, სკოლებისათვის ზრუნვა ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად არის მიჩნეული. მთელ რიგ საშუალო და 8-წლიან სკოლებში დამკვრელური წესით ჩატარდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. სოფელ ნინოშვილის 8-წლიანი სკოლის ახალ შენობაში წელს პირველად დაიწკრიალებს ზარი.

მიმდინარე წელს პირველი სექტემბრისათვის უნდა დამთავრდეს ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის სამ სართულიანი შენობა. სამწუხაროა, რომ სამუშაო უხარისხოდ სრულდება. შენობის კარ-ფანჯრებს, იატაკს ისეთი ნედლი მასალა ხმარდება, რომ წყალიდან ამოღებული გეგონებათ. ცხადია, ასეთი კარ-ფანჯრები და იატაკი გაშრობის შემდეგ დაფარღალალდება და გაფუჭდება. შენობა კი მშვენიერად არის დაპროექტებული 480 მოსწავლისათვის. ლაბისღელის კოლმეურნეობა, რომლის ტერიტორიაზეც არის მე-2 საშუალო სკოლა, რატომღაც ნაკლებ აქტიურობას იჩენს მშენებლობის მუშახელით უზრუნველყოფის საქმეში. მაშინ როცა ტერიტორიულად უფრო დაშორებული გვიმბალაურის და შუხუთის კოლმეურნეობები და ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკა სკოლის შენობის დროულად დამთავრებისათვის ჯეროვნად ზრუნავენ.

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი საშენი მასალები ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს სასკოლო მშენებლობის მოთხოვნილებებს, ნიგოითის, სუფსის, ქალაქის პირველი საშუალო და ქვიანის 8-წლიან სკოლებში ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

ᲩᲮᲔᲐᲠᲣᲗᲘᲡ რაიონის მთელ რიგ სკოლებში დროულად იზრუნეს და კიდევაც დაამთავრეს სარემონტო სამუშაოები. სოფელ საკამაისერში პირველ სექტემბერს საშუალო სკოლის ახალ შენობაში იზეიმებენ მოსწავლეები.

სამწუხაროდ, ჩოხატაურის პირველ საშუალო სკოლაში სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. მაგალითად, ამ სკოლას უნდა მიშენებოდა რამდენიმე ოთახი კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სპორტული დარბაზისათვის. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ფოთის № 11 სამშენებლო ტრესტის ლანჩხუთის სამშენებლო უბანმა. რამდენიმე თვის წინათ დაიწყეს მუშაობა, ჯერ იყო და გამოუშვეს აგურით აოყვანეს კედლები, რომლებიც წვიმის დროს ჩამოშალა. ხელმეორედ შეუდგნენ მშენებლობას, მაგრამ ახლა საშენი მასალები შემოელიათ. იმაზე ფიქრიც კი ზედმეტია, რომ სექტემბრისთვის ყველა სამუშაო შეასრულონ.

ასევე დანაშაულებრივად ჭიანურდება დაბის ცენტრში დაწყებული ბაგა-ბაღის მშენებლობა. რომელიც 140 ბავშვისათვის არის განკუთვნილი. ეს შენობაც პირველი სექტემბრისათვის უნდა გადასცემოდა საექსპლოატაციოდ და დღეისათვის მშენებლობის 9 პროცენტიც არ არის შესრულებული.

ᲕᲐᲜᲘᲡ რაიონში ამ უკანასკნელ წლებში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა მოსწავლე ახალგაზრდობისაგროქიმიკოსი, აკადემიკოსი დ. ნ. პრიანიშნიკოვი მუდამ ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ სასუქები უნდა ინახებოდეს ისე, როგორც ვინახავთ მარცვლეულს. რადგან ყოველი ცენტნერი სასუქი 3-5 ცენტნერ მარცვლეულს უდრის. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲘᲡ ᲑᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲛᲘᲗᲘᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ.

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ

მსოფლიო დღეს

მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი

დელი. (საკდესი). „მთელი ინდოელი ხალხი მიესალმება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებას", — წერს ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო ყოველკვირეული „ნიუ-ეიჯი".

„ხელშეკრულება ღირსშესანიშნავი ისტორიული ნიშანსვეტია არა მარტო ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გზაზე, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, კოლექტიური უშიშროებისათვის, ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის გზაზეც".

ხელშეკრულება, ასკვნის „ნიუ-ეიჯი", სახავს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობის ახალ ფართო პერსპექტივებს, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიური პროგრესის გზით ინდოეთის წარმატებითი წინსვლისათვის.

„მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის. იგი სავსებით შეესაბამება მიუმხრობლობის პოლიტიკის პრინციპებს და განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია დღეს", — გაანაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ ინდოეთის ყოველკვირეულის „ლინკის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში.

უპასუხა რა ამ ჟურნალის კორესპონდენტის შეკითხვებზე, ინდირა განდიმ დაადასტურა ინდოეთის მთავრობის მტკიცე გადწყვეტილება განახორციელოს რადიკალური სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, რომლებიც შეესაბამება ინდოელი ხალხის ფართო მასების ინტერესებს. ინდოეთის ეროვნული კონგრესი და ინდოეთის მთავრობა, აღნიშნა ინდირა განდიმ, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ინდოეთში დაიჩქარონ სოციალური რევოლუცია და შეასრულონ დაპირებანი, რომლებიც ხალხს მისცეს.

ჯაკარტა. (საკდესი). ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარან სინგჰმა, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება, საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულებამ კიდევ უფრო მტკიცე საფუძველი შეუქმნა ორი ჩვენი ქვეყნის ტრადიციულ კეთილ ურთიერთობას. ეს ურთიერთობა ათწლეულების მანძილზე ვითარდებოდა და მას ყოველთვის ახასიათებდა გულითადი მეგობრობა და თანამშრომლობა როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ დარგში. ჩვენი ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი ასპექტია სრული ურთიერთგაგება.

დასასრულ სვარან სინგჰმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება მიმართული არ არის რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, დასძინა მან, რომ ეს ხელშეკრულება არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნის, არამედ ამ რაიონის ყველა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობის, უშიშროებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

ტოკიო

პანიკა და შეშფოთება

16 აგვისტო. (საკდესი). მთელ ომისშემდგომ წლებში აქციების კურსის უდიდესი დაქვეითებით ტოკიოს ბირჟაზე გამოეხმაურა იაპონია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონის განცხადებას ამერიკის ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

მარტო დღეს დილას ტოკიოს სავალუტო ბაზარზე გაიყიდა 300 მილიონზე მეტი დოლარი.

ნიქსონის განცხადებამ პანიკა და შეშფოთება გამოიწვია ტოკიოში, იუწყება კიოდო ცუსანის საგენტო.

მიაჩნიათ აგრეთვე, რომ ეს ღონისძიებები საფრთხეს უქმნიან მთელი მსოფლიოს სავალუტო სისტემას,

მაგრამ, როგორც სააგენტო წერს, იაპონიის სავაჭრო წრეებს მიაჩნიათ, რომ ვაშინგტონის მიერ გამოცხადებული ღონისძიებები ხელს ვერ შეუწყობენ ამერიკის სნეული ეკონომიკის პრობლემათა ძირეულად გადაჭრას.

ვაშინგტონი

პენტაგონი გაზრდილ ბიუჯეტს მოითხოვს

16. აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მ. ლერდმა მოითხოვა კიდევ **უფრო გაადიდონ** სამხედრო ბიუჯეტი მომავალ საფინანსო წელს.

ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბარში ლერდმა აღნიშნა, რომ პენტაგონის ახალი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მან განსახილველად წარუდგინა პრეზიდენტს, ითვალისწინებს სამხედრო მიზნებისათვის დაახლოებით 80 მლიარდი დოლარის გამოყოფას, 77,6 მილიარდ დოლართან შედარებით, რაც, როგორც მოელიან, დახარჯავს თავდაცვის სამინისტრო მიმდინარე საფინანსო წელს.

„ყოველ ღონეს ვხმარობ, რათა მივაღებინო ეს ბიუჯეტი, — ხაზგასმით აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა. — ახლა იმის დრო არ არის, რომ შევამციროთ ასიგნებანი სამხედრო საჭიროებისათვის".

პენტაგონის გაუმაძღრობა განსაკუთრებით ძლიერ გამოვლინდა მაშინ, როცა პრეზიდენტი ნიქსონი შეხვდა შტაბების უფროსთა კომიტეტის წევრებს. პრესის ცნობების თანახმად, კომიტეტის წევრებმა მოითხოვეს სამხედრო ხარჯების გადიდება 83 მილიარდ დოლარამდე.

მათს მოთხოვნებს აქტიურად უჭერენ მხარს სამხედრო მონოპოლიათა დამქაშები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში. სენატორებმა გოლდუოტერმა, ტაფერმა და სხვებმა უკანასკნელ დრეს გააჯავრეს ისტერიული კამპანია „მზარდი საბჭოთა-საომარი საფრთხის" გაცვეთილი საბაბით.

მაგრამ ეს დროებითშეული ფანდი სულ უფრო ნაკლებ ეფექტს აწდენს კონგრესში, სადაც სენატორთა და კონგრესმენთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოითხოვს შემცირდეს სამხედრო ხარჯები და გადიდდეს ასიგნებანი მწვავე სოციალურ-ეკონომიური პრობლემების გადასაჭრელად.

უსასტიკესი კრიზისი

ვაშინგტონი. 16 აგვისტო. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა რადიოთი და ტელევიზიით გააკეთა განცხადება, რომელშიც ჩამოაყალიბა იმ საგანგებო ღონისძიებათა პროგრამა, რომელთაც ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დოლარის **„გადასარჩენად".**

პრეზიდენტის თქმით, „უკანასკნელ კვირებში სპეკულანტებმა გააჩაღეს ტოტალური ომი ამერიკული დოლარის წინააღმდეგ". ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა „შეწყვიტოს დოლარების გაცვლა ოქროზე და სხვა სარეზერვო ავუარები",

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებში გაისმის „სასოწარკვეთილებისა და უიმედობის ხმები", „ძლიერდება ეჭვი, რომელიც ადუნებს ჩვენს ენერგიას და გვიკარგავს ჩვენი ძალების რწმენას". როგორც აღიარა რ. ნიქსონმა, ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე მწვავედ დგას საკითხი, დარჩება თუ არა იგი „წამყვან ქვეყნად მსოფლიო ეკონომიკაში, თუ დასჯერდება მეორე, მესამე ან მეოთხე ადგილს".

პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა ამერიკის ეკონომიკის გაუარესებული მდგომარეობის გამო. მან ყურადღება დაუთმო უმუშევრობის მაღალ დონეს, „ფასების ზრდის მანკიერ სპირალს" და ინფლაციას.

„ინფლაცია, — თქვა რ. ნიქსონმა, — ძარცვავს თვითეულ ამერიკელს. იგი განსაკუთრებით ტანჯავს იმ 20 მილიონ ამერიკელს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ და მუდმივი შემოსავლით ცხოვრობენ. დიასახლისებს ახლა უფრო უჭირთ, ვიდრე ოდესმე წინათ. მათ ძლივს ჰყოფნით თავიანთი სოჯახო ბიუჯეტი.

ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა 80 მილიონი დაქირავებული მუშა და მოსამსახურეც. ომიანობის ოთხი წლის განმავლობაში, 1965-დან 1969 წლამდე, ჩვენი ხელფასის მატება არარად აქცია ფასების ზრდამ".

პრეზიდენტის განცხადებამ ამავე დროს ცხადყო, რომ მთავრობა აპირებს უწინარეს ყოვლისა მშრომელთა ხარჯზე გამონახოს იმ ეკონომიური კრიზისიდან გამოსავალი, რომელშიც მოაქციეს ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა. პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული ხელფასის გაყინვა ლახვარს სცემს ამერიკელთა ფართო კატეგორიებს, რომელთა რეალური ხელფასი უკვე მნიშვნელოვნად შემცირდა ინფლაციის შედეგად.

პრეზიდენტ რ. ნიქსონის განცხადება ამერიკის ეკონომიკაში საგანგებო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში შეაფასეს როგორც იმის აღიარება, რომ, მიუხედავად ბრტყელბრტყელი დაპირებებისა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ ძალუძს გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან.

ტერორი და რეპრესია

მაგრამ რაც უფრო მძვინვარებს ხუნტა, მით უფრო ძლიერდება საბერძნეთში ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მთელი ანტიდიქტატორული ძალების შეკავშირებისათვის. დიქტატურისადმი წინააღმდეგობა მასობრივ მოძრაობად გადაიქცა, რომელიც დღითიდღე ძლიერდება და ვრცელდება ქვეყნის სულ ახალ-ახალ რაიონებში, მოსახლეობის ახალ-ახალ ფენებში.

საგულისხმოა, რომ დღეს შავი პოლკოვნიკების უმსგავსო მოქმედებას ბურჟუაზიული წრეების ბევრი წარმომადგენელიც კი აშკარად გმობს. მაგალითად, განცხადებაში რომელსაც ხელი მოაწერა საბერძნეთის ექვსმა ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა, და რომელიც ამას წინათ ათენში გაავრცელეს, ნათქვამია, რომ „ოთხწლიანსავრის მანძილზე საგანგებო სამხედრო ტრიბუნალების არსებობა და მუშაობა ეწინააღმდეგება თავისუფალი დემოკრატიული ცხოვრების ელემენტარულ საფუძვლებს". მკაცრი ცენზურისა და ხელისუფალთა მუქარის მიუხედავად საბერძნეთის 130 თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ხელი მოაწერა მოწოდებას, რომელშიც მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს ხელისუფლების სათავეში რეაქციული მხედრიონის ყოფნას და აღადგინონ კონსტიტუცია, რომელიც ხუნტამ ფეხქვეშ გათელა.

რეჟიმისადმი ოპოზიცია იმდენად ძლიერია, რომ ამის გამო ცოტა ხნის წინათ სპეციალურად მოახსენეს ამერიკის კონგრესს შეერთებული შტატების ელჩმა ათენში ტასკამ.

ტერორი და რეპრესიები, რომლებიც ახლა საბერძნეთში მძვინვარებს, მმართველი ხუნტის ძალის კი არა, სისუსტის დამადასტურებელია. „ძირს დიქტატურა, გაუმარჯოს დემოკრატიას!" — ეს ლოზუნგი სულ უფრო მზმაღლა გაისმის ელადის მიწა-წყალზე.

ინდოეთი

ინდირა განდი

● დასავლეთ ბერლინში

ყოფილი საკონტროლო საბჭოს შენობაში დაიწყო სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩების მორიგი შეხვედრა დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის თაობაზე მოლაპარაკების ფარგლებში.

● არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ ნოტა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ თანს, რომელშიც სთხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაუყოვნებლივ ჩაერიოს და დაიცვას ლიბის მოსახლეობა ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალთა ძალადობის აქტებისაგან.

● ნახაში (ოკინავის ადმინისტრაციული ცენტრი) გაიმართა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის მე-17 მსოფლიო კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ იაპონიას დაუბრუნონ ოკინავა ისე, რომ გააუქმონ იქ ამერიკის სამხედრო ბაზები და ატომური იარაღის მარაგი.

● არბენინის ქალაქ ტუკუმანში გაიმართა ქალთა დემონსტრაცია, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ მათი ბავშვები უზრუნველყონ ხურსათით და უწინარეს ყოვლისა რძით, რძის გაყიდვა ქალთა კონსულტაციებში ერთი წლის წინათ შეწყდა.

ამსოლოდ

ტელეტაიპის ლენტიდან

● როგორც ყეტულიო ვარგასის ინსტიტუტი იუწყება, მიმდინარე წლის შვიდი თვის მანძილზე ბრაზილიაში ცხოვრება 11 პროცენტით გაძვირდა. გასული წლის ამავე პერიოდში ცხოვრება გაძვირდა 10.8 პროცენტით. მარტო ივლისში კომუნალური მომსახურების ღირებულება 4,1 პროცენტით გაიზარდა.

● ბრაზილიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, თვითეული ათასი ახალშობილიდან 105 ბავშვი ერთ წლამდე ვერ ცოცხლობს. ბრაზილიაში ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობის მიზეზია ის, რომ მოსახლეობის უმრავლესობას მძიმე პირობები აქვს, გამუდმევით ელვით ავადმყოფობენ ინფექციურ დაავადებებით ცხოვრობენ.

● ბრიგადამ და მექანიკურმა სტრიოზული შრომა მოაყენა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. ზოგიერთ ოლქში დაზიანდა ელექტროგადაცემისა და ტელეფონო კავშირის ხაზები, ძალიან დაზიანდა ნათესები.

საკდესი-პრენსა ლატინა-რეიტერი.

ფაქტები

ლონდონი

ტერორის წინააღმდეგ

16 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს ინგლისელი ჯარისკაცები ბარსელონაში ნეფსტის ერთ-ერთ შენობას, სადაც მიმდინარეობდა ოპოზიციური პარტიებისაგან სტორმონტის (ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტი) წევრთა სხდომა.

ჯარისკაცებმა სტორმონტის წევრებს ავტომატები დაუმიზნეს და ისე გაჩხრიკეს. სხდომაზე განიხილავდნენ ჩრდილოეთ ირლანდიაში შექმნილ ვითარებას.

სხდომის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდებენ ოლსტერის მცხოვრებლებს დაიწყონ მოქალაქეობრივი ურჩობის ფართო კამპანია რეპრესიების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად და იმ მოთხოვნების მხარდასაჭერად, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ „საგანგებო უფლებამოსილებათა კანონი", რომელიც ითვალისწინებს „საეჭვო პირთა" დაპატიმრებას და გაუსამართლებლად და გამოუძიებლად პატიმრობას, აგრეთვე გათავისუფლონ ყველა პატიმარი.

ამავე დროს ინგლისის თემთა პალატის სულ უფრო მეტი წევრი მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ მოიწვიონ საზაფხულო არდადეგებზე დათხოვნილი პარლამენტის საგანგებო სესია ოლსტერის კრიზისული მდგომარეობის განსახილველად. უკანასკნელი მონაცემებით, ასეთ მოთხოვნას უკვე ხელი მოაწერა პარლამენტის ასზე მეტმა ლეიბორისტულმა წევრმა. მაგრამ ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობა კვლავაც უარს ამბობს ოფიციალურად დაუჭიროს მხარი ამ მოთხოვნას და ამით შესაძლებლობას აძლევს მთავრობას გვერდი აუაროს პარლამენტს და ისე იმოქმედოს.

ამავე დროს ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის მემარჯვენე ხელმძღვანელობა ყოველი ღონისძიებით ცდილობს ჩაფუშოს ჩრდილოეთ ირლანდიაში საყოველთაო გაფიცვის მოწყობის გეგმები. გუშინ საღამოს მან გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდებს „თავი შეიკავონ" გაფიცვისაგან.

ინდოეთი

ინდირა განდი

ლონდონის მანევრი

ლონდონი, 16 აგვისტო. (საკდესი). ლონდონი, რომელმაც ვერ **მოახერხა მარიონეტულ ფედერაციაში შეეყვანა სპარსეთის ყურის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ნავთობით მდიდარი სამთავრო — ბაჰრეინი, ახლა მიმართავს შემოსავლელ მანევრს, რათა შეინარჩუნოს გავლენა ბაჰრეინზე.**

სწორედ ამ მიზანს ისახავს ბაჰრეინისა და ინგლისის „მეგობრობის ხელშეკრულება", რომელსაც 15 აგვისტოს მოაწერეს ხელი ამ ახალი სახელმწიფოს დედაქალაქში, რომლის დამოუკიდებლობა გუშინწინ გამოაცხადეს. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია „ორი ქვეყნის კონსულტაციები, თუ ასეთი საჭიროება წარმოიშვა".

ოფიციალური ლონდონი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ხელშეკრულება ასახავდეს ორივე ქვეყნის „საერთო ინტერესებს" ამ რაიონში „სტაბილურობის" შენარჩუნების თაობაზე.

მაგრამ რა საერთო ინტერესებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ინგლისი იცავს ნავთობის მონოპოლიების ინტერესებს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ბაჰრეინში შეინარჩუნოს შეიარაღებული ძალები, ხოლო ბაჰრეინი ესწრაფვის სრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ განთავისუფლებას უცხოეთისგან, რომელზეც დამოკიდებული იყო ამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

ყირგიზი

ზეგავლენას ახდენენ მალტაზე

16 აგვისტო. (საკდესი). ამჟამად დიდი ბრიტანეთი და მისი ნატოელი მოკავშირეები მიმართავენ მანევრებს, რათა შეინარჩუნონ სამხედრო ბაზები მალტის კუნძულზე, წერს დღეს გაზეთი „ლუმანიტე".

შაბათს ბრიუსელში ორჯერ შეეკრიბნენ ნატოს საბჭოს მუდმივი წარმომადგენლები, რათა განეხილნათ მალტას მთავრობაზე ზეგავლენის „ყველაზე ეფექტიანი საშუალებანი, აღნიშნავს გაზეთი.

აშუქებს რა ცნობას, რომ ნატოს ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ მეიღოთ გადაწყვეტილება მალტიდან ევროპის სამხრეთ ზონაში განლაგებული ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის გადაყვანის შესახებ, გაზეთი ხაზს უსვამს, რომ **„ამ შტაბის ძირითადი საქმიანობაა ხმელთაშუა და შავ ზღვებში უჯაშუშონ იმ ქვეყნების ფლოტებს, რომლებიც ნატოს წევრები არ არიან".**

ტაიფუნი „როზა"

ნიუ-იორკი. 16 აგვისტო. (საკდესი). ტაიფუნი „როზა" დაატყდა თავს დღეს ჰონკონგს. ქარის სიჩქარე საათში 113 კილომეტრს აღწევდა. ჰონკონგში ცხოვრება ჩაკვდა. შეწყდა დაწესებულებათა და სავაჭრო საწარმოთა მუშაობა. აეროპორტი არ იღებდა და არ უშვებდა თვითმფრინავებს. წყალდიდობის შედეგად წარმოიქმნა ზოგიერთი რაიონის დატბორვის საფრთხე. როგორც ასოციეიტედ პრესის საგენტო იუწყება, მსხვერპლი არ ყოფილა.

ბაჰამები

ბაჰამელ კუნძულთა ეროვნული ბანკი

ბაჰამელ კუნძულთა ეროვნული ბანკი

ბაჰამელ კუნძულთა ეროვნული ბანკი

ДОДЕС ЩВЕНИ РЕСПУБЛИКИС ХАЛАХЕБШИ

ХУТАИСИ

ГВАТХОВИНЕБС ЩВЕНИ САХУТАРИ КОРЕСПОНДЕНТИ

Ш. ЯАВАХАДЗЕ

● ЕРТИ ХАРХНИДАН — АТ ХВЕЯНАШИ ● РЕЗИНИС 262 НАЕСОБА ● МЕШВИДЕ ОПЕРА — ХУТАИСИС СЦЕНАЗЕ ● АСЕ ИСЕНЕБЕНЕ ФЕИХРЕБИ.

□ **ХУТАИСИСТРИ** марки беври нацарми щвени дидо самшобло фарглебс гарет иглавнеба да ахла мсоплиоис самцамде квеянашеа цнобили.

марто ерт, ителектромеханикурхарханашеи дамзадебули ителектромеханиздебиа да мкфиобилоба мимдинареа წლის пирвели нахевариши мсоплиоис ათზე მეტ квеянашеи гаиглавна.

харханамა 120 цали артезиули ფალასტუმბი гаугзавна кубис республикас. ფალასტუმბები гаиглавна агретве авдзаненши, ეთიოპიასა და ალჟირში, საშახტო ელმავლები და მათი სათადარიგო ნაწილები — იუგოსლავიაში, უნგრეთში, ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, ჩასაძირი ელექტროძრავები — მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, ხოლო საშახტო ელექტროლამპრები — ირანში, პოლონეთსა და ბულგარეთში.

□ რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის პროექტიცას ახლა ჩვენი ქვეყნის ბევრ კუთხეში იცნობენ. მიმდინარე წელს აქ წარმატებით აითვისეს ველოსიპედის საბურავის, დასაჯდომის, სახელურებისა და საფეხურების ფურადი რეზინის წარმოება. ამჟამად ქარხანა 262 ტექნიკურ ნაკეთობას უშვებს.

ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის შვიდ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა და გააცილა ათეული ათასობით მანეთის პროდუქცია და 982 ათასი მანეთი წმინდა მოგება მიიღო.

□ **ველიწადნახევარი** გავიდა ქუთაისში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფილიალის გახსნიდან.

და აი დაიდგა რიგით მეშვიდე ოპერა — ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკი“.

„ბაში-აჩუკის“ დამდგმელი რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. გაჩეჩილაძე, დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. კაკაბაძე, მხატვარი — ი. ინანიშვილი, ცეკვების დამდგმელი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ზ. კიკალეიშვილი, ქორმაისტერები — ა. მაჭავარიანი და ო. თოფურია.

სპექტაკლში მთავარ პარტიებს ასრულებდნენ — ი. ოცხელი (თავადი ლ. წერეთელი), ნ. ჯაფარიძე (ლერწამისა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. გლუნჩაძე (ბაში-აჩუკი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. დოლიძე (პირიმზისა), ი. ქუთათელაძე (ნადირხანი), ა. ფხაკაძე (აბდულაჰილი), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. გოცირიძე (დილავარდისა), შ. ოლობერიძე (თანდილა), პ. დადიანიძე (თავადი ბიძინა), გ. კუხალაშვილი (ელიზბარ ერისთავი).

□ **აბრეშუმის** საწარმოო გაერთიანების ასზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ თავისი კუთვნილი შვებულება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე გაატარა.

პიატიგორსკის დელფთა და ბავშვთა სანატორიუმში შვილთან ერთად დაისვენა და იმკურნალა მესოფელმა თ. გაფრინდაშვილმა. კისლოვოდსკში ისვენებდა მოსამზადებელი საამქროს ცალის უფროსი გ. ბარამია, ჟელეზნოვოდსკში — საჩეჩ-სართავი საამქროს მუშა ა. შესტაპაროვა, სოჭში — ძაფსაღები საამქროს მუშა გ. ლაკვეხელიანი, გაგრაში — ქვეოსტატი დ. ცომაია.

ამ ზაფხულს შავი ზღვის სანაპიროზე, მიუსერის პიონერთა ბანაკში ატარებს მუშა-მოსამსახურეთა 300 ბავშვი. აქვეა საწარმოს საბავშვო ბაღის 100 აღსაზრდელი.

დასვენების დღეებში ქუთაისელი ფეიქრები აწყობენ შორეულ ექსკურსიებსა და ტურისტულ ლაშქრობებს.

წლის ბოლომდე კიდევ 300-მდე მუშა-მოსამსახურე მიიღებს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებს.



ЧЕХЕТИ ГАЗЕТИДАН

სოფელმა თავგადაკლა ნეკა მიატოვა

საფრანგეთის კანტალის დეპარტამენტში მდებარე სოფელ სალერის მცხოვრებლებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს მიატოვონ თამბაქოს წევა. და არა მარტო გადაწყვიტეს, არამედ თავიანთ წერილში საზეიმოდაც აცნობეს ეს სახელმწიფოს მეთაურს.

პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ უპასუხა მათ წერილზე. მან მხურვალედ მიიწონა სალერელების ინიციატივა, მაგრამ ამასთან სინანული გამოთქვა, რომ თვითონ არ შეუძლია მიბაძოს მათს მაგალითს.

ამ სოფელს საფრანგეთის ყველა კუთხიდან მოაწედა უამრავი ხალხი. ზოგი იმისათვის მიდის, რომ „სიბერეზე გაიზიაროს“. ზოგი კი მხოლოდ ცნობისმოყვარეობისათვის. ჩასული ტურისტები, მუნიციპალური ხაზინადრის დიდად სასიხარულოდ, სალერში უმეგალითოდ დიდ თანხებს ტოვებენ. მათმა სიმრავლემ ერთბაშად გამოასწორა სოფლის ფინანსური საქმეები.

პარიზი.

(გაზ. „ტრუდ“),

ВАЖАОБА ЧАРГАЛШИ

ХАЛХИС СИУВАРУЛИ

ЧИНГАЛИС ხიდთან, საიდანაც ფშავის ხეობა იწყება, ჩარგალს მიმავალი მგზავრები სიყვარულით შესცქეროდნენ ვაჟა-ფშაველას პორტრეტს, თითქოს და დიდი მგოსანი ჯანსაღი და უბერებელი თვითონვე ხედებოდა სტუმრებს, რომლებიც მოვიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა ვაჟაობის დღეს აღენიშნათ მისი დაბადების 110 წლისთავი.

სტუმარი კი მართლაც უამრავი იყო. ჩარგალში მოვიდნენ პოეზიის თაყვანისმცემლები დედაქალაქიდან და რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან, აქ იყვნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ჟურნალისტები, მეზობელი სოფლების კოლმეურნეები, მრავალი მშრომელი დედაქალაქიდან, რომლებსაც ჩარგალში ასვლამდე, სასიამოვნო სიურპრიზი ელოდათ სასოფლო საბჭოს ცენტრში — სოფელ მაღარასკარში. აქ დილის 11 საათზე დაიწყო ხალხმრავალი მიტინგი. იგი მიეძღვნა დიდი სამამულო ომიდან შინმოუსვლელთა ობელისკის გახსნას, რომელსაც თვალსაჩინო ადგილს აღუმართავთ.

მიტინგი გახსნა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ გ. ბილიხოძემ, სიტყვა წარმოთქვა 88 წლის ბიჭური ბადრიშვილმა, რომელიც შუაფხოდან ჩამოვიდა, რათა გაეზიარებინა მაღარსკარელთა ზეიმი, ბიჭურის სახით თითქოს ლაპარაკობდნენ ქართველი მთიელები, რომლებიც არ შეუშინდნენ მტერს და ვაჟკაცურად დასდეს თავი ქვეყნისა და ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ბევრს მოაგონა ცრემლი შინმოუსვლელი ჯარისკაცის დედისთანა მიხაურისა და სამამულო ომის მონაწილის ლ. ნაყეურის სიტყვებმა.

ობელისკთან მივიდა ცხენზე ამხედრებული წვეულებელი ფიერუზ მაჩგარიშვილი, რომელმაც ახალგაზრდობის სახელით ფიცი დასდო ამრავლონ და გამამდიდრონ მამათა ტრადიციები.

დიდი ყურადღებით მოუსმინეს მამაც მფრინავს საბჭოთა კავშირის გმირს ზ. ხიტალიშვილს, რომელმაც ამაღელვებლად ილაპარაკა არაგველი ვაჟკაცების საბრძოლო დამსახურებაზე დიდ სამამულო ომში.

შემდეგ საკუთარი ლექსები წაიკითხეს ნ. ბუღალაურმა, გ. მარცვალაშვილმა, ვ. ხუცურაულმა, ა. გარსევანიშვილმა, ა. რაზიკაშვილმა, ი. ქართველიშვილმა.

ამ შესანიშნავი ზეიმის აქტიური მონაწილე თითქოს ვაჟაც იყო. შემთხვევით კი არ გაუმეორებიათ ორატორებს მისი სიტყვები:

სამშობლოს არავის
წავართმევთ,
ნურც ნურვინ შეგვიცილებს,
თორემ ისეთ დღეს
დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება...

ბაისმის სალუტის ქუხილი, ნელნელა ემეება საბურველი, დამსწრეთა წინაშეა შესანიშნავი ობელისკი, რომელიც დააპროექტა და თვითონვე აგო თვითნასწავლმა არქიტექტორმა ბ. მგელაშვილმა.

აქედან ავტომანქანების კორტეჟი ჩარგლისაკენ გაეშართა. ვაჟას ქოხის ახლო მდებარე ვაკე დაფერდობი მალე ხალხით აივსო. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ახობაძე შესავალი სიტყვით ხსნის დიდი მგოსნის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგს და მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს მწერალ-აკადემიკოს გ. ჯიბლაძეს, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა ვაჟას, როგორც გენიალური შემოქმედის, დიდი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის შესახებ.

პოეტებმა ი. ნონეშვილმა, რ. მარგიანმა, ჯ. ჩარკვიანმა, გ. გიგაურმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები, შემდეგ ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ბაჩანას შვილიშვილმა ი. რაზიკაშვილმა, ახმეტელმა მთქმელმა ნიკო გორელაშვილმა, პედაგოგმა ვ. კასრაძემ და ვაჟას შვილიშვილმა ა. რაზიკაშვილმა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოში სტუმრად მყოფმა უნგრელმა მწერალმა იშტვან ჩასავი, რომელმაც განაცხადა, რომ ვაჟას პოეზია ერთნაირად საყვარელია მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, მათ შორის უნგრელი ხალხისთვისაც.

ვაჟას სახლ-მუზეუმის დირექტორმა ვახტანგ რაზიკაშვილმა მადლობა უძღვნა სტუმრებს ვაჟას ხსოვნის ესოდენ დაფასებისათვის.

მიტინგის მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლმა კ. ვაშაკიძის ხელმძღვანელობით, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. ზაქაიძემ, მეფუდუკეთა ანსამბლმა და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის ნორჩმა მოცეკვავეებმა, მომღერლებმა და დეკლამატორებმა.

მიტინგი დამთავრდა, მაგრამ დიდხანს გრძელდებოდა ზეიმი ჩარგლის ჭალაში, ყველას, ვინც იმ დღეს ვაჟას სახლ-მუზეუმი ნახა და მიტინგს დაესწრო, სასიამოვნო მოგონებად გაჰყვა ერთი აზრი: — ვაჟას შემოქმედება იცოცხლებს მანამ სანამ ქვეყანას დასცქერენ კავკასიონის მთები და მწვერვალები.

ა. თემურიძე.

• • •

სურათებზე: ზემოთ — მიტინგი ჩარგალში. ტრიბუნასთან არის უნგრელი მწერალი **იშტვან ჩასავი**; ქვემოთ — შინმოუსვლელთა ობელისკი მაღარასკარში.

ფოტო ი. ზიკლაურისა.



სამტრედიელმა ჭადრაკის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე დამთავრდა ჭადრაკის სახახლის მშენებლობა. სამტრედიაში ჭადრაკის სახახლის საძირკვლის ჩაყრაში მონაწილეობდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილი. **სურათზე:** ჭადრაკის სახახლის ახალი შენობა სამტრედიის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო ს. ომეზარაძისა (საქდენის ფოტოქრონიკა),

ЧАДРАКИ

ნ. ალექსანდრიამ გამარჯვებით დაიწყო

სტარტი აიღო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურმა მატჩებმა ჭადრაკში ქალთათვის. ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონს ნინა ალექსანდრიას ჰოლანდიის ქალაქ ბლადელში პაექრობა აქვს ცნობილ იუგოსლავ მოჭადრაკე მ. ლაზარევიჩთან. პირველ პარტიაში ნ. ალექსანდრია აღმავლობით იბრძოდა და 43-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ანგარიში გაიხსნა

მეორე ნახევარფინალური მატჩი ტ. ზატულოვსკაიასა და ა. კუშნირს შორის მინსკში მიმდინარეობს. პირველ პარტიაში გაიმარჯვა ა. კუშნირმა.

მაღალთანამდებობიანი ჰელსინკი

ევროპის ჩემპიონატს მძლეოსნობაში ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე კვირას ფინეთში ჰქონდა. ჩვენმა მძლეოსნებმა ასპარეზობა დაამთავრეს 9 ოქროს, 3 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედლით, მაგრამ მათ გაუსწრეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — 12 ოქროს, 13 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედლით.

უფრო მეტს მოეღოდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის — ვ. სანეევისაგან. ამჯერად იგი მეორე ადგილზე აღმოჩნდა სამხტომში—17 მეტრი და 10 სანტიმეტრი. ოქროს მედალი კი ხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს იურგენ დრეფლოს — 17 მეტრი და 16 სანტიმეტრი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე, სადაც ვ. სანეევმა ოქროს მედალი მოიპოვა, მას ტრავმა ჰქონდა მიღებული და თავს ძალას ატანდა გუნდის ინტერესებისათვის.

აი რა განაცხადა თვით ვ. სანეევმა ჰელსინკის სტადიონზე გამოსვლის შემდეგ. უკვე ორი თვეა მივიღე ტრავმა, ვერ ვვარჯიშობ წესიერად, შეჯიბრებაზე მხოლოდ ერთი ხეირიანი, დიდი ძალდატანებით კი ორი ნახტომი თუ გამომივა და მაშინვე დამეწყება ტკივილები. ასე იყო დღესაც, ერთადერთი ხეირიანი ნახტომი გავაკეთე ექვსიდან.

რა თქმა უნდა, საწყენია ევროპის ჩემპიონობის დათმობა, თუნდაც ისეთ ძლიერ სპორტსმენთან, როგორიც არის დრეფლი, მაგრამ იმედი მაქვს ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს მომავალ წელს მიუნხენში ოლიმპიურ ასპარეზობაზე და იქ შევეცდები დაკარგული ავინაზღაურო.

რაც შეეხება სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის ჩემპიონს თარჯრეზეში 110 მეტრზე ა. მოშიაშვილს, იგი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა — 14,4 წამი. ჩემპიონობა კი მოიპოვა ფ. ზიბეგმა (გდრ) — 14 წამი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ესტაფეტებმა 4X100 და 4X400 მეტრზე ქალთათვის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებმა თანმიმდევრულად არა მარტო ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს, არამედ კონტინენტისა და მსოფლიო რეკორდები დაამყარეს — 43,3 და 3.29,3. ასეთსავე ესტაფეტებში ვაჟთათვის წარმატება ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს ხვდათ. 1500 მეტრზე რბენაში ქალთათვის მსოფლიოს ახალი რეკორდი უძლიერესი იყო კ. ბურნელიტი (გდრ, 4.09,6), ვაჟთა შორის გაიმარჯვა ფ. არეზმემ (იტალია, 3.38,4), 3000 მეტრზე რბენაში დაბრკოლებებით უძლიერესი იყო ჟ. ვიოლენი (საფრანგეთი, 8,25,2), ბადროს ტყორცნაში ვაჟთათვის გაიმარჯვა ლ. დანგეკმა (ჩეხოსლოვაკია, 63,90 მეტრი).

ვ. გაბელია.

ლიდერობს საბჭოთა ნაკრები

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირზე სსრ კავშირის ნაკრებმა 15 და 16 აგვისტოს დაამარცხა ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდები (104:72, 95:81) და ერთპირიანი ლიდერი გახდა.

ა. მეტრეველის ტრიუმფი

მოსკოვი დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. გაგვახარა ჩვენმა თანამემამულემ ა. მეტრეველმა, იგი ტურნირის აბსოლუტური გამარჯვებულია. კვირას ერთეულთა ასპარეზობის ფინალში ა. მეტრეველმა დაამარცხა უნგრეთის არაერთგზის ჩემპიონი ი. გუიაში 6:4, 6:1, 6:1. წინადღით კი ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან ერთად გაიმარჯვა წყვილთა შეჯიბრებაში. და ბოლოს, თ. კაულიას ავადმყოფობის გამო არ შედგა შერეულ წყვილთა შეჯიბრება თ. კაულია-მ. ჩუვირინა-ა. ა. ოლოროზოვა-ა. მეტრეველს შორის. გამარჯვება ო. მოროზოვასა და ა. მეტრეველს მიენიჭათ.

ქალთა ერთეულების ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადელი ა. ერემეევა და ტალინელი მ. კული. ლენინგრადელი ჩოგბურთელის უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მას ხვდა 6:0, 6:3. ქალთა წყვილებში უძლიერესები იყვნენ გ. ბაკშეევა და მ. ჩუვირინა.

მატჩი კიევში

კვირის მატჩი კიევში სსრ კავშირის თასის მფლობელის მოსკოვის „სპარტაკისა“ და ჩვენი ქვეყნის წლევანდელი პირველობის ლიდერის კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ასპარეზობა გამოდგა.

3:2 — გაიმარჯვეს კიევის დინამოელებმა.

დღეს გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის სამი შეხვედრა. ბაქოში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ნეფტჩი“ და თბილისის „დინამო“, მინსკში ადგილობრივი დინამოელები ითამაშებენ ლენინგრადის „ზენიტთან“, ხოლო დონის როსტოვში ასპარეზობა ექნებათ არმიის სასპორტო კლუბისა და ლვოვის „კარპატის“ გუნდებს.

ВАЖАОБА ЧАРГАЛШИ

ЧРАГВЕДИА ქანდასთან

ДАИЦУЖА 5 ДАЦИ, МИИМЕДЕ ДАСАХИЧРЕЛА 24 МГЗАВРИ

МГЗАВРЕБს დიდი გზა ელოდათ. თბილისიდან დილით ადრე გასულებს უნდა გაევლოთ მცხეთა, გორი, ხაშური, რიგოთის უღელტეხილი, ქუთაისი და მისულიყვნენ წყალტუბოში. ყველამ იცის, რა წარმატება ეხლება იშლება მგზავრის თვალწინ, მით უმეტეს ახლა, ზაფხულის დღეებში, რამდენ სასიამოვნოს დაინახავს კაცი საქართველოს გზებსა და გზაჯვარედინებზე. მაგრამ წინასწარ არავინ იცოდა, რა სანმინელება ელოდათ ამ ავტობუსის მგზავრებს, რომელსაც ავტომძღოლი იაგორ სამსონის-ძე ისაგულოვი მართავდა.

დილის 7 საათზე „იკაროსი“ თბილისის ავტოსადგურიდან გავიდა, მშვიდობიანად გაიარა მცხეთა, ნატახტარი, გოროვნამდე. წინ სამუხრანოს ლამაზი მიდამოები გადაშლილიყო. ქვეყანას ახლად ამოსული მზის სხივები ანათებდა და სწორედ იქ, მშვენიერ მოასფალტებულ გზაზე, სადაც რამე მარცხზე ფიქრიც კი უჭირობაა, დიდი სისწრაფით მიმავალი ავტობუსი გზის მარჯვენა მხარეს გადაიჩეხა, იქვე დაიღუპა ხუთი კაცი, მძიმედ დაშავდა 24 მგზავრი.

მომხდარი ტრაგედიის ადგილას სწრაფად მოვიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთის განყოფილების გამომძიებელი ს. დვალი, ტრასის უფროსი მაიორი ნ. ლაშხი, მისი მოადგილე კაპიტანი ლევან აგინოვი, სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები დედაქალაქიდან. ავარიის ამბავი სწრაფად გავრცელდა, ყველა დააღონა და დააფიქრა.

ჩვენ ვიყავით შემთხვევის ადგილას. საზარელი სანახავია სახუარაჭაყლეტილი, დამსხვრეული, დეფორმირებული ავტობუსი... საიდანაც ძლივს გამოიყვანეს მძიმედ დასახიჩრებულნი და მკვდრები... და, როცა ამ საზარელ სურათს უცქერი, ბუნებრივია იბადება ერთი კითხვა — სად არის ავტოავარიის სათავე, ვინ არის დამნაშავე, ვისი მიზეზით დატრიალდა ეს ტრაგედია?

სწორედ ამაზე გვქონდა საუბარი მილიციის მცხეთის განყოფილებაში, სადაც დაკავებული ჰყავთ ავტომძღოლი ი. ისაგულოვი. ეს კაცი გამოუცდელი მძღოლი როდია, თავის დროზე უსწავლია თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში და მას შემდეგ მთელი 26 წლის მანძილზე საჭესთან ზის. მისი თქმით, ავარია არასოდეს არ შემთხვევია, დისციპლინა არ დაურღვევია, თვითონაც არ იცის რა მოხდა, რის შედეგად გადაბრუნდა ავტობუსი: — გზაზე, პატარა მოსახვევში უკანახიდიდან რაღაც ხმაური შემომესმა, ცოტა დავამუხრუჭე კიდეც, საჭე აღარ დამეორჩილა, ახლაც ყურში მესმის ჩემი შემცველების ვასო ბენიანიძის ხმა — არ შემინდეო, მახსოვს, დამფრთხალი მგზავრები როგორ მოაწყდნენ ავტობუსის წინა ნაწილს, საჭე კი ხან მარცხნივ წავიდა, ხან მარჯვნივ და ერთბაშად ავტობუსი გადაბრუნდაო.

— იმას, თუ რატომ არ დაემორჩილა საჭე, ტექნიკური კომისია გაარკვევს — თქვა გამომძიებელმა ს. დვალმა.

— მაგრამ ავარია ხომ 15 აგვისტოს, დილის 8 საათზე მოხდა, ნუთუ აქამდე ავტოტექნიკური ექსპერტიზა არ მოსულა? სიმართლის დასადგენად ხომ ძვირფასია თვითეული წუთი, თვითეული წამი, — ვეკითხებით დვალს.

— არ მოსულან. ჩვენ კი ავტობუსის ადგილიდან დაძვრის უფლება არა გვაქვს, იქ სპეციალურად ყარაული დავაყენეთ. გადაბრუნებულ ავტობუსს წუხელ საბარგო ავტომანქანა — „64-74 გრს“ დასჯახებია, რომელსაც მთვრალი მართავდა ავტომძღოლი ვლადიმერ მიხეილის-ძე კარაპეტოვი.

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი!

ჩვენ მაინც ავარიის მიზეზი გვაინტერესებს. ისევ ვეკითხებით მძღოლს ისაგულოვს: — გუშინწინ სად იყავით, როდის დაბრუნდით?

— გუშინწინ ვიყავი ზუგდიდში, თბილისში დავბრუნდი საღამოს დაახლოებით 9 საათზე, დილის 5 საათზე კი კვლავ გარაჟში მივედი, აქედან ავტობუსით სტამბაში გავიარეთ, სადაც ახალ გაზეთებს ვიღებთ (ხელშეკრულებით ამ ავტობუსით ფოსტასაც ეზიდებიან) და 7 საათზე უკვე ახალ რეისში გავემგზავრე.

— იქნებ დასვენება არ გეყოთ და ამიტომ მოხდა ავარია?

ისაგულოვი დუმს და რაღაცაზე ფიქრობს.

— იქნებ ავტობუსი ტექნიკურად გამართული არ იყო. გარაჟიდან გამოსვლის წინ ავტობუსი შეამოწმეს?

— რაც თავი მახსოვს, ტექნიკური შემოწმება არ ყოფილა.

— ავარიის ადგილას შევხვდით ავტოკოლონის (2661) უფროსს რ. ჯაფარაძეს, მთავარ ინჟინერ მ. ქორიძეს, მორიგე დისპეტჩერ ო. ნიკოლაოვს და მექანიკოს ა. ბაინდუროვს. ისინი ერთხმად აცხადებენ: — რას ბრძანებთ, შეუმოწმებელ და ტექნიკურად გაუმართავ ავტობუსს რეისში როგორ გავუშვებთ (?!)

— რამდენი კილომეტრის სისწრაფით უნდა მოძრაობდნენ ავტობუსები? — შევეკითხეთ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს სამგზავრო გადაზიდვის სამმართველოს უფროსს გ. ცომაიას.

— საათში 60 კილომეტრი სისწრაფით.

— იცავენ ამ წესს ავტომძღოლები?

— ყოველთვის არა!

ნორმალური სისწრაფით რომ ვეღარ „იკაროსს“, მოხდებოდა ავარია?

ამაზე ყველანი სდუმან.

თბილისი-ორჯონიკიძის ტრასის უფროსმა მაიორმა ნ. ლაშხმა შემოგვჩივლა: — ავარიების ერთ-ერთი მიზეზია დაუშვებელი სისწრაფე. ავტოინსპექციის მუშაკები ხშირად ვაჩერებთ ხოლმე სიჩქარის მოყვარულთ, ვაფრთხილებთ, მაგრამ ზოგჯერ ხელს გვიშლიან მგზავრებიც: — რატომ გვაჩერებთ, შენ ვინ გეკითხება, ჩქარა წავალთ თუ ნელა. გუშინ, მაგალითად, შოფრისათვის მგზავრებს რომ ეთქვათ, ასე სწრაფად რატომ მიდიხარო, შესაძლოა ავარია არ მომხდარიყო.

— პირადი გამორჩენის მიზნით ზოგიერთი ავტომძღოლი ცდილობს რაც შეიძლება მეტი მგზავრი წაიყვანოს. „იკაროსის“ ტიპის ავტობუსში 32 საჯდომი ადგილია, აქედან 7 ადგილი დაკავებული აქვს საფოსტო გზავნილებას, რასაც ჩვეულებრივად საბარგო განყოფილებებში ათავსებენ, ხოლო თავისუფალი 7 ადგილი მძღოლების განკარგულებაშია. საბედნიეროა, რომ იმ უბედურ დღეს ავტობუსში 45-მდე მგზავრი აღმოჩნდა, აქედან ბილეთი ჰქონდა მხოლოდ 23-ს.

— მკაცრად უნდა ვებრძოლოთ ავტოხულიგნობას, მოძრაობის წესების მცირეოდენ დამრღვევებთაც კი. უნდა შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი იმით საწინააღმდეგოდ, რომლებიც თავიანთი უსინდისო საქციელით ხელყოფენ მოქალაქეთა სიცოცხლეს. პასუხისმგებლობისა და მაღალი დისციპლინის სულისკვეთებით უნდა ვზრდიდეთ ავტომძღოლებს. რა დასამალავია, ბევრ მძღოლს ავტომანქანის მართვის უფლება აღებული აქვს სამი-ოთხი ათეული წლის წინათ, მას შემდეგ მათ არავინ არ ამოწმებს, ფსიქოფიზიკურ შემოწმებასაც არ ანდენენ. განა პერიოდულად საჭირო არ არის ამის გაკეთება?

საუბარში ჩვენც ჩავერიეთ.

— რატომ არის, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლები ხშირ შემთხვევაში კმაყოფილდებიან, მხოლოდ ავტომძღოლთა საბუთების შემოწმებით, თვით შიგნით მანქანაში არ იყურებიან და ყურადღებას არ აქცევენ ავტომანქანის ტექნიკურ მდგომარეობას, განა ეს არ წარმოშობს ავტოავარიებს?

...ნახულით დაღონებულები უკან დაბრუნდით, გოროვნათან ტრასის უფროსმა და მისმა მოადგილემ № 14 მოძრავი სამშენებლო-მექანიზებული კოლონის სატვირთო ავტომანქანა შეაჩერა, რომლის ძარაზე 20-მდე ახალგაზრდა იდგა და აღშფოთებულებმა მძღოლს გიორგი ჩიღოშვილს მიმართეს, წესრიგს რატომ არღვევთო. შოფერმა გაიღიმა, რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის, უფროსებმა მიბრძანეს ამ ხალხის გადაყვანაო. აი ხშირად ასეთი დასაწყისი აქვს ზოგიერთ ავტოტრაგედიას.

ჩვენ კი ისევ ქანდასთან მომხდარი უბედურების მიზეზებზე ვფიქრობთ...

ა. თომაძე,
ბ. ბახტურიძე,

გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ

ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1971-72 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ

ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ განყოფილება ამზადებს სტენოგრაფებს, მანქანაზე წერის განყოფილება კი — მდივან-მემანქანეებს — სტენოგრაფიის ცოდნით.

ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ქართული და რუსული.

ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ მდედრობითი სქესის მოქალაქენი (აგრეთვე მამრობითი სქესის მოქალაქეთა მცირე ნაწილი). სტენოგრაფიის განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები, ხოლო მანქანაზე წერის განყოფილებაზე — საშუალო და რვაწლიანი განათლების მქონე მოქალაქენი.

სკოლაში შემსვლელნი გამოცდას აბარებენ მშობლიურ ენაში (წერა).

ის პირნი, ვინც საშუალო სკოლის ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრებისას დაჯილდოებული არიან ოქროს, ვერცხლის მედლით ან წარჩინების დიპლომით, აგრეთვე უმაღლესი განათლების მქონე პირები, მიიღებიან უგამოცდოდ.

სტენოგრაფიის განყოფილებაზე სწავლის ვადა ორი წელია, მანქანაზე წერის განყოფილებაზე კი—ერთი წელი. სკოლა სამეურნეო ანგარიშზეა.

სკოლაში შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა, დაბადების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), ორი ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (გარდა კვირადღისა), 31 აგვისტომდე, 10-დან 18 საათამდე.

გამოცდები იწარმოებს 27-დან 31 აგვისტომდე.

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, კამოს ქ. № 52, ტელეფონი № 95-99-02.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

17 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 11.40 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.10 — მხატვრული ფილმი „მამაკაცებს ცრემლი არ შეშვენით“, 17.05 — „ექიმის დასახმარებლად“, 17.50 — კინონარ